საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 304/ი

23 04 2019წ.

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დადასტურების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2019 წლის 23 აპრილის №471677 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესი და პირობების" (შემდგომში - წესი) მე-12 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ცენტრის მიერ დადასტურდეს შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები:

1.1. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ბლექსი":

ა) კერამიკული ფილის დაგება (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ბ) ხელოვნური ხის კონსტრუქციების წყობა (პროფესიული მომზადების პროგრამა);

გ) ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე (პროფესიული მომზადების პროგრამა);

დ) კერამიკული ფილის დაგება (პროფესიული გადამზადების პროგრამა);

ე) ხელოვნური ქვის კონსტრუქციების წყობა და ზღუდარების მოწყობა (პროფესიული გადამზადების პროგრამა).

1.2. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ - ელექტრული ტექნიკის მონტაჟი და ექსპლუატაცია (პროფესიული მომზადების პროგრამა).

1.3. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“:

ა) ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (პროფესიული გადამზადების პროგრამა).

ბ) ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (პროფესიული მომზადების პროგრამა);

გ) ლითონების შედუღება „MIG“ და „MAG“ გარემოში (პროფესიული მომზადების პროგრამა);

დ) სპლიტ სისტემის ჰაერის კონდიციონერის მონტაჟი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ე) ფილებით კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება (პროფესიული მომზადების პროგრამა).

1.4. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“:

ა) ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარებს ელექტრიკოსი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ბ) მომხმარებლებთან ურთიერთობა სავაჭრო ობიექტებში (პროფესიული მომზადების პროგრამა).

1.5. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“:

ა) ვებ გვერდის ინტერფეისის მოდელირება (Mark up) (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ბ) სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (java) (პროფესიული მომზადების პროგრამა);

გ) java-Script დეველოპერი (პროფესიული მომზადების პროგრამა).

1.6. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“:

ა) ლამინირებული ავეჯის დამამზადებელი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ბ) ინტერიერისა და ექსტერიერის მღებავი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

გ) შემდუღებელი (ელექტრორკალური) (პროფესიული მომზადების პროგრამა);

დ) თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ე) ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ვ) კერამიკული ფილებით მომპირკეთებელი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ზ) კონდიცირებისა და გაცივების სისტემის ტექნიკოსი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

თ) დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (პროფესიული მომზადების პროგრამა);

ი) სანტექნიკისა და გათბობა-წყალგამაცხელებელი სისტემის მემონტაჟე (პროფესიული მომზადების პროგრამა).

2. განხორციელდეს ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.3. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (შემდგონში - ჩარჩო) დონის ცვლილება, კერძოდ, ჩარჩოს მე-4 დონის ნაცვლად განისაზღვროს ჩარჩოს მე-3 დონე.

3. განხორციელდეს ამ ბრძანების პირველი მუხლის 1.5. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (შემდგონში - ჩარჩო) დონის ცვლილება, კერძოდ, ჩარჩოს მე-5 დონის ნაცვლად განისაზღვროს ჩარჩოს მე-4 დონე.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი გიორგი ვაშაკიძე